სპ

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

23 აპრილი, სამშაბათი, 1991 წ.
№ 73 (10486) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„საქმემან შენმან გამოგაჩინოს“...

დღეს ჩვენში უამრავი ასოციაცია და კლუბია შექმნილი, მაგრამ ზოგიერთ მათგანს ჯერ საერთოდ არფერით გამოუჩენია თავი. ერთ-ერთი იმათ შორის კი, ვინც სახელს უმალვე ნაღდი საქმე მოაყოლა, არის საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სპორტული კლუბებისა და ფიზკულტურის კოლექტივების ეროვნული ასოციაცია. ამ დღეებში ასოციაციამ კიდევ ერთი ლამაზი სპორტული ღონისძიება ჩაატარა — ზემოხსენებული სასწავლებლებისა და მათი ფიზკულტურულ - სპორტული ორგანიზაციების საგაზაფხულო პირველობა მძლეოსნულ კროსში.

ასპარეზობას თბილისის იპოდრომმა უმასპინძლა. გამარჯვებულებს პრიზებთან ერთად ფულადი ჯილდოც გადაეცათ — პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასულებს შესაბამისად 200, 100 და 50 მანეთი. პირად პირველობაში ყველაზე მეტი საპრიზო ადგილები ფიზკულტურის ინსტიტუტის, ტექნიკური უნივერსიტეტის, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ტექნიკუმის წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

გუნდური ადგილები. I ჯგუფი (უმაღლესი სასწავლებლები): 1. ფიზკულტურის ინსტიტუტი, 2. სახელმწიფო უნივერსიტეტი, 3. სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტი, **II ჯგუფი (უმაღლესი სასწავლებლები და ფილიალები):** 1. სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი, 2. გორის ეკონომიკური ინსტიტუტი, 3. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი. **III ჯგუფი (ტექნიკური სასწავლებლები):** 1. თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი, 2. რუსთავის პოლიტექნიკური ტექნიკუმი, 3. თბილისის საფინანსო ეკონომიკური ტექნიკუმი.

საქართველოს ალმით

თბილისის 53-ე საშუალო სკოლის მოსწავლე მაკა წიწუაშვილი 14 წლისაა, ასაკის სიმცირე კი სულაც არ უშლის ხელს, რომ გაცილებით უფროს მეტოქეებს ღირსეულად გაუმკლავდეს. მან ჯერ კიდევ ორიოდე თვის წინ უკგოროდში „დინამოს“ საბჭოს პირველობაზე, რომელშიც 18 წლის ჩოგბურთელებიც იბრძოდნენ, ტოლი არავის დაუდო და ორ ასაკობრივ ჯგუფში (1977 და 1979 წლებში დაბადებულები), პირველ ადგილებზე გავიდა.

ამ დღეებში კლუბ „რაშის“ (პრეზიდენტი ოთარ ქავთარაძე) აღსაზრდელმა მეტად საპასუხისმგებლო ასპარეზობაში — ტაშკენტის მოზარდთა საერთაშორისო ტურნირში ისახელა თავი. აქ მაკა, ცხადია, საქართველოს ალმით გამოდიოდა და ორი საპრიზო ადგილი დაიკავა.

მ. წიწუაშვილმა (მწვრთნელი ბადრი ბაზაზაშვილი) პირად .პირველობაში მოიპოვა უძლიერესის სახელი — ჯერ პოლონელი ვიოლეტა მური დაამარცხა, შემდეგ — ქვეჯგუფში პირველ ნომრად განთესილი რიგელი გ. მუშევი[illegible]ა, მეოთხედფინალში კი 15 [illegible]ლამდე გოგოებს შორის სსრკ-[illegible]ში უძლიერესად მიჩნეულ კატია [illegible]ოსიკს დააყრევინა ფარ-ხმალი, [illegible], ნახევარფინალში კი ადვილად სძლია კიეველ ლენა ციგანს.

გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მაკა წიწუაშვილმა ერევნელ კეშა კურეგიანთან პირველი პარტია ანგარიშით 3:6 დათმო, მაგრამ შემდეგ დამაჯერებლად იბრძოლა და გაიმარჯვა — 6:4; 6:2. წყვილთა ტურნირში მოსკოველ ტანია პანოვასთან ერთად ჩვენი სპორტსმენი მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა.

სურათზე: მაკა წიწუაშვილი.

ადამიანი და განწყობა

რას გვპირდება აპრილის ბოლო კვირა

გაძლიერებული ყურადღება და სიფრთხილე გვმართებს 23, 24, 29 აპრილს.

კეთილსასურველი დღეებია 23, 25, 29;

ემოციურად არამდგრადია 26, 30;

ურთიერთობისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის არახელსაყრელია 25, 26, 27, 28;

გამგზავრებისთვის ხელსაყრელია 23, 24, 25, 30;

მომატებული ტრავმატიზმის დღეები — 26, 28, 29;

ნაკლებნაყოფიერი აზროვნების 23, 26, 27;

მაღალნაყოფიერი აზროვნების—28;

საქმიანი გარიგებისთვის ხელსაყრელია 30;

გაძლიერებული კონფლიქტის დღე იქნება 28 აპრილი.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, VII ტურის შეხვედრები უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შორის.

„ქუთაისი“ (ქუთაისი) —
„ალაზანი“ (გურჯაანი) 1:0
„ბათუმი“ (ბათუმი) —
„გურია“ (ლანჩხუთი) 0:0
„ცხუმი“ (სოხუმი) —
„იბერია“ (თბილისი) 0:1
„ოდიში“ (ზუგდიდი) —
„მარგვეთი“ (ზესტაფონი) 1:1
„მერცხალი“ (ოზურგეთი) —
„ხულორი“ (ვანი) 1:0
„დილა“ (გორი) —
„ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:3
„კოლხეთი“ (ხობი) —
„შევარდენი-1906“ (თბილისი) 3:0
„სანავარდო“ (სამტრედია) —
„ივერია“ (ხაშური) 0:0
„მზიური“ (გალი) —
„სამგურალი“ (წყალტუბო) 0:0

სტიპენდია — სპორტსმენებს

„რესპუბლიკის ხუთ სპორტსმენს თვეში ვუნიშნავთ 300-300 მანეთ სტიპენდიას“ — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს სპორტის დეპარტამენტის საწარმოო კომბინატის მოჯარეთა კოლექტივმა (დირექტორი ჯ. ჯავახიშვილი). მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის სპორტული მოძრაობა გამოეყო ცენტრს და სრული დამოუკიდებლობის გზას დაადგა, მშრომელთა ასეთი ყურადღება ჩვენი სპორტსმენებისადმი მისასალმებელია.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 54 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი

მიხეილ შალვას ძე მესხი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ჰოლიფილდმა შეინარჩუნა ტიტული

ამ ბოლო ერთი კვირის მანძილზე ატლანტიკ-სიტიში ყველა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი ფორმენ—ჰოლიფილდის მატჩის მოლოდინით ცხოვრობდა. დიახ, ფორმენ—ჰოლიფილდის, სწორედ ასეთი თანამიმდევრობით და არა პირუკუ, ვინაიდან ქალაქის მკვიდრნი გჩრკვეულწილად უპირატესობას ჯერ 42 წლის ვეტერანს ანიჭებდნენ და მხოლოდ მის შემდეგ 28 წლის მსოფლიო ჩემპიონს.

ევანდერ ჰოლიფილდი ბრძოლის შემდეგ.

სამაგიეროდ, ტოტალიზატორში ძალები ცოტა სხვაგვარად განაწილდა, ყოველ შემთხვევაში, პირადი სიმპათიები აქ მეორე პლანზე გადავიდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა მყარი შედარება: ევანდერ — მსოფლიოს ჩემპიონის ევანდერ ჰოლიფილდის, ორი—ვეტერანი პრეტენდენტის ჯორჯ ფორმენის სასარგებლოდ. 7:2—ტოტალიზატორისთვის დიდი სხვაობაა, მაგრამ, როცა ფულზეა საქმე, რისკზე წასვლა არავის არ სურს.

სხვათა შორის, ეს მატჩი მრავალმხრივ სარეკორდო გამოდგა, მაგრამ ყველაზე დიდი აჟიოტაჟი, მითქმა-მოთქმა და, თქვენ წარმოიდგინეთ, აღტაცებაც საპრემიო ფონდის ოდენობამ—32,5 მილიონმა დოლარმა გამოიწვია, საიდანაც გამარჯვებულისთვის 20, დამარცხებულისთვის კი 12,5 მილიონი დოლარი იყო დაწესებული.

წინა დღით პრეს-კონფერენციაზე ორივე მეტოქე თავს მშვიდად გრძნობდა. ჰოლიფილდს, როგორც ჩემპიონს, ჰკითხეს:

—რა აზრისა ხართ თქვენს ხვალინდელ მოწინააღმდეგეზე?

— ჯორჯი დიდი მოკრივეა და მისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ მე შევეცდები ბრძოლა ლოგიკური გზით წარვმართო.

ჰოლიფილდს ეჭვი არ ეპარებოდა თავის გამარჯვებაში (სხვათა შორის, ისევე როგორც ფორმენს), მაგრამ მეტოქეზე მაინც პატივისცემით საუბრობდა, ასეთივე პოზიცია ეკავა პრეს-კონფერენციაზე ფორმენს, რომელმაც გულწრფელად თქვა:

— მე ჩემი გავაკეთე და ქვეყანას დავუმტკიცე, რომ მოკრივეს 42 წლის ასაკშიც შეუძლია მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა.

ფორმენმა, რა თქმა უნდა, ესეც დაამტკიცა და ცოტა მეტიც. ატლანტიკ-სიტის მატჩის დეტალები ჯერ არ მოსულა, მაგრამ ცნობილია ბრძოლის შედეგი — ევანდერ ჰოლიფილდმა შეინარჩუნა ჩემპიონის ტიტული—მეტოქე დაამარცხა ქულებით თორმეტრაუნდიან პაექრობაში. თანაც, საკმაოდ მოკლე და ძუნწ ცნობაში ნათქვამია, რომ ფორმენს რამდენჯერმე ჰყავდა მოწინააღმდეგე ნოკდაუნში!



ჯორჯ ფორმენი.

გახსენება

გოგლიკა

დარწმუნებული ვართ, რომ ამ სახელს გვარის „მიკერება“ არ სჭირდება — თუ სპორტის ძველი ჭომაგი ხარ, ცხადია, უმალ მიხვდები, რომ საუბარია გიორგი ბაბილოძეზე, წარსულში შესანიშნავ ქართველ ტანმოვარჯიშეზე, მოფერებით „გოგლიკას“ რომ ეძახდა ნაცნობ-მეგობარი.

ზუთი თუ ექვსი წლის წინ ნარკვევი მოვამზადე მასზე, დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით. კარგა ხანს ვდიე. სანამ რედაქციაში „შემოვიტყუე“, მაშინაც დაიმორცხვა ჩვეულებისამებრ: „რა მოხდა, ასი წელი ხომ არ შემსრულებია?!“

ახლა ქართული ტანვარჯიშის ამაგდარს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს გიორგი ბაბილოძეს 80 წელი შეუსრულდებოდა. იუბილე არ დაგვცალდა — შარშან წავიდა ამ ცხოვრებიდან.

„რგოლების მეფეს“ უწოდებდნენ და გიორგი ბაბილოძეს მართლაც არ ჰყავდა ბადალი ამ ტანვარჯიშულ იარაღზე. ეს სახელი კი ლენინგრადში შეარქვეს 1932 წელს პროფკავშირთა პირველობაზე. თუმცა დიდი სპორტის ახალბედამ მაშინ მრავალჯიდში „მხოლოდ“ მესამე ადგილი დაიკავა თანაგუნდელ გულო რცხილაძისა და მოსკოველ ბორის ასტაფიევის შემდეგ, მაგრამ რგოლებზე ვარჯიშით ყველა აღაფრთოვანა — „კაუჩუკის“ სპორტდარბაზი ოვაციებმა მოიცვა და... „განიარაღებულმა“ მსაჯებმა ქართველ ათლეტს უმაღლესი შეფასება — 20 ქულა (ასე იყო მაშინ) მიაკუთვნეს. მეორე დღეს იყო, ლენინგრადის ერთ-ერთმა გაზეთმა ზემოხსენებული ეპითეტით რომ შეამკო ბაბილოძის გვარი.

საქართველოს არასოდეს აკლდა სახელოვანი ტანმოვარჯიშეები, რომელთა შორის გიორგი ბაბილოძემ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა გულო რცხილაძესთან, ალექსანდრე ჯორჯაძესთან, პავლე რომანიშვილთან, ლევან უანჩაველთან, კოტე ზაალიშვილთან ერთად. ისინი ხომ ტანვარჯიშის დიდებული სპეციალისტებისა და პედაგოგების: გიორგი ნიკოლაძის, გიორგი ეგნატაშვილის და გაიოზ ბერელაშვილის ტრადიციებზე იყვნენ აღზრდილნი. მეტიც: გ. ბაბილოძეს თვით ბატონი „გურგელა“ — გიორგი ეგნატაშვილი ავარჯიშებდა, როდესაც ნიჭიერი ტანმოვარჯიშე საქართველოს ნაკრებში ჩარიცხეს.

...მშობლიური სახლის აივანზე ჩამოკიდებულ რგოლებს პირველად 9 წლისა შეეჭიდა გოგლიკა. რას იფიქრებდა მაშინ, რომ წლების შემდეგ „რგოლების მეფედ“ მონათლავდნენ. მერე სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელს დავით გეუაძეს მიაკითხა ამხანაგებთან ერთად და ტანვარჯიშის წრეში ჩაეწერა. გულმოდგინედ შეუდგა ვარჯიშს. განვლო ხანმა და გოგლიკა ახლა სპორტის დიდ ენთუზიასტთან არჩილ ბაქრაძესთან გადავიდა პირველ საწვრთნელ-საჩვენებელ სკოლაში, სადაც იმ დროისათვის მშვენიერი სპორტული დარბაზი და მოედანი იყო. ზაფხულობით გოგლიკა თელავში ჩადიოდა დედულეთში და გატაცებით ვარჯიშობდა თანატოლებთან ერთად.

...პირველი დიდი შეჯიბრება, რომელშიც გ. ბაბილოძემ მიიღო მონაწილეობა, 1928 წელს გამართული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პირველობა იყო. გოგლიკამ მოულოდნელად ყველას აჯობა, მაგრამ რაკიღა უკონკურსოდ გამოდიოდა, პირველობა მის მასწავლებელს დ. გელაძეს მიეკუთვნა.

ზემოთ უკვე ვახსენეთ ბაბილოძის მესამე ადგილი მრავალჭიდში პროფკავშირთა საკავშირო პირველობაზე. შვიდი წლის შემდეგ კი იგი ანალოგიურ შეჯიბრებაში აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. იმავე წელს კიევში ქვეყნის ჩემპიონატში ჩვენმა ტანმოვარჯიშემ უძლიერესის სახელი დაიმსახურა ორძელზე, მომდევნო წელს კი „რგოლების მეფემ“ არავის დაუთმო პირველობა თავის საყვარელ იარაღზე. აი, აქედან დაიწყო, ფაქტობრივად, მისი გზა დიდ სპორტში.

ტანვარჯიშის „ძველი გვარდიელი“ გ. ბაბილოძე აქტიურ სპორტს რომ ჩამოშორდა, ნიჭიერი ტანმოვარჯიშეების აღზრდას მოჰკიდა ხელი. აი, ისინიც, ბატონ გოგლიკას ღირსეული მოწაფეები, წლების განმავლობაში წარმატებით რომ იცავდნენ ქართული სპორტის ღირსებას — სერგო ჯაიანი, ნოდარ ბახუტაშვილი, ნოდარ და ჯემალ ფრიდონაშვილები, ბორის აბრამიშვილი.

...როგორ დაიკლდათ გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სკოლაში მოვარჯიშე ყმაწვილებს გულმოდგინე პედაგოგის გიორგი ბაბილოძის ხელი — ამ მეტად გულთბილი ადამიანის კეთილი ღიმილი.

ოთარ ნოზაძე

სურათზე: გიორგი ბაბილოძე ნორჩ შეგირდთან ერთად.

გუნდი მატიანის ფურცლებზე

ავტომშენებელთა საყვარელი გუნდი

ოთხი ათეული წლის წინათ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ბაზაზე შეიქმნა პირველი საფეხბურთო გუნდი „ტორპედო“. იმთავითვე გუნდი შედგენილი იყო მუშა-სპორტსმენებით.

ფეხბურთის ვეტერან გულშემატკივრებს დღესაც კარგად ახსოვთ 50-იანი წლების ჩვენი რესპუბლიკის საფეხბურთო ცხოვრება, სადაც რიონისპირა ქალაქის სპორტულ ღირსებას, „დინამოს“ გვერდით, წარმატებით იცავდა „ტორპედოს“ ახალგაზრდული გუნდი. მასში აღზრდილ ფეხბურთელებს წლების მანძილზე წარმატებით დაუცავთ ქართული ფეხბურთის პრესტიჟი საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

ჯერ კიდევ მსოფლიო ომი მიმდინარეობდა, როდესაც მთავრობის გადაწყვეტილებით, ქუთაისში საფუძველი ჩაეყარა საავტომობილო ქარხნის მშენებლობას.

1945 წლის გაზაფხულზე, ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით, იქ, საღაც მაღლაკის ხრიოკი და უნაყოფო ველი იყო, 120 ჰექტარ ფართობზე დაიწყო რესპუბლიკაში პირველი და ერთადერთი უმძლავრესი საწარმოს — ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობა. გასაგებია ის სიძნელეები და რთული პირობები, რომლის დაძლევა ქართველ მანქანათმშენებლებს უხდებოდათ. პირველესად, თავი და თავი საავტომობილო საქმისთვის საჭირო კადრების მომზადება იყო, ამიტომ ქარხნის მშენებლობის დაწყებასთან ერთად ინჟინერ-ტექნიკოსთა დიდი ჯგუფები მიავლინეს საქართველოს ფარგლებს გარეთ, მსხვილ საავტომობილო ქარხნებში, სადაც მანქანათმშენებლობის რთულ და პასუხსაგებ პროფესიებს ეუფლებოდნენ.

პროფესიონალ მანქანათმშენებელთა დახმარებით რამდენიმე წელში შეიქმნა ადგილობრივ სპეციალისტთა ძირითადი ბირთვი, რომელიც თითქმის ოთხი ათეული წელია დიდი შრომისა და გარჯის ფასად წარმატებით ძლევს მათ წინაშე მდგარ ურთულეს პრობლემებს. პრობლემები კი, მოგეხსენებათ, ქუთაისელ ავტომშენებლებს მრავლად აქვთ.

იმ დროს ათასობით სპეციალისტის, მათი ოჯახების მიღება და დაბინავება, მომსახურება არ იყო ოღლი საქმე. ამიტომ, ერთდროულად შენდებოდა ახალი მიკრორაიონი, სადაც მალე 20 ათასამდე ავტომშენებლის ოჯახის წევრმა დაიდო ბინა. აშენდა დახურული სპორტული დარბაზი, ფეხბურთის რამდენიმე მოედანი, სადაც ქარხნის მუშა-მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები ფიზიკურად იწრთობოდნენ.

სპორტსაზოგადოება „ტორპედოს“ ბაზაზე იქმნებოდა ფეხბურთის, ველოსპორტის, ძალოსპობის, კრივის, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობის, კალათბურთის, ფრენბურთის და სპორტის სხვა სახეობების სექციები, სადაც გამოცდილი მწვრთნელებისა და საავტომობილო ქარხნის ერთ-ერთი პირველი ფიზკულტურის ინსტრუქტორის, ომამდელი წლების ქუთაისის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელის, ომისა და შრომის ვეტერანის ე. ნიკარაძის გარჯის ფასად ქართველი ავტომშენებლები წარმატებებს აღწევდნენ საქალაქო, რესპუბლიკურ და მის ფარგლებს გარეთ გამართულ შეჯიბრებებში.

ფეხბურთი ქუთაისელ ავტომშენებლებს შორის პოპულარული გახდა. ყოველწლიურად გამართულ საგაზაფხულო და საშემოდგომო გათამაშებაში, ქარხნის პირველობაზე, ყველა საამქრო იღებდა მონაწილეობას. 1946 წლის მეორე ნახევარში ქარხნის ბაზაზე ჯერ შეიქმნა „ტორპედოს“, ხოლო სულ მალე საფეხბურთო გუნდი „ტორპედო-2“.

„ტორპედოს“ პირველ გუნდში თამაშობდნენ მ. ლოსაბერიძე, ს. მანაგაძე, ე. კოხრეიძე, ბ. კილაძე, ს. ნიკარაძე, გ. ლობჟანიძე, ნ. ახვლედიანი, ნ. ხარაბაძე, მ. გერაძე, ვ. შლიახოვი, ნ. კაპტივაძე, ვ. ჩხეიძე, გ. არეშიძე, ი. კაკაჯაშვილი. გუნდის პირველი მწვრთნელი იყო ომის წინა წლების ქუთაისის „დინამოს“ ცნობილი თავდამსხმელი, ა. ცირეკიძე.

...1947 წელს „ტორპედოს“ ახალგაზრდული გუნდი პირველად იხილეს საქალაქო და რესპუბლიკურ სარბიელზე. ქუთაისის საქალაქო ჩემპიონატზე ავტოქარხნელმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს „დინამო-2“, „პლამიას“, „მოტორის“, „კრასნაია როზა“ გუნდები, და დამსახურებულად მოიპოვეს პირველი ადგილი. თავდაპირველად რესპუბლიკურ სარბიელზე ტორპედოელებმა ძალები გამოსცადეს ისეთ ძლიერ გუნდებთან, როგორებიც იყვნენ: ზესტაფონის ნაკრები, სამტრედიის „დინამო“, ცხაკაიას ნაკრები, ბათუმის „ბურევესტნიკი“, ხაშურის ნაკრები და სხვები. „ტორპედომ“, სულ მალე ფართოდ მოიზიდა მაყურებელი და ამიტომ იყო, რომ გუნდის თამაშს. შინ „დინამოს“ სტადიონზე ყოველთვის დიდძალი ხალხი ესწრებოდა. მაშინდელი საქალაქო პრესა საინტერესო მასალებს გვაწვდის: 1947 წლის 6 აგვისტოს გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში“ ვკითხულობთ: „კვირას, სამ აგვისტოს, „დინამოს“ სტადიონზე შედგა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ ავტოქარხნის „ტორპედო“ და სამკერვალო ფაბრიკის „პლამიას“ ფეხბურთელთა გუნდები. თამაშის პირველ ნახევარში უპირატესობა ხელთ იგდეს ტორპედოელებმა და ორი ბურთი გაახვიეს მოწინააღმდეგის ბადეში. მიუხედავად წვიმისა, თამაშის მეორე ნახევარი უფრო გაცხოველებით მიმდინარეობდა. „პლამიას“ ფეხბურთელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ ანგარიში მაინც ვერ გახსნეს. მხოლოდ პენალტით შეძლეს მათ ერთი ბურთის გატანა. სამაგიეროდ, თავის ბადეში კიდევ სამი ბურთი მიიღეს. თამაში დამთავრდა 5:1 ტორპედოელთა სასარგებლოდ“.

1948 წლის საფეხბურთო სეზონშიც ტორპედოელები კვლავ წარმატებით გამოდიან საქალაქო ჩემპიონატზე. მათ დაამარცხეს „კრასნაია ზნამია“, პედინსტიტუტის და სამთო ტექნიკუმის გუნდები, ხოლო ფინალში შეხვდნენ წერეთლის ქუჩაზე მდებარე კლუბის ფეხბურთელებს და დაამარცხეს ანგარიშით 4:1. მაშინდელი საქალაქო გაზეთის ცნობით: „ამ თამაშით „ტორპედოს“ ფეხბურთელებმა გვიჩვენეს თამაშის მაღალი კლასი, გამძლეობა, ამტანობა. რაც შეეხება მეორე ჯგუფში მოსაპარეზე გუნდებს, აქაც უძლიერესის სახელი მოიპოვა „ტორპედოს“ მეორე გუნდმა“.

იმავე წლის 29 აგვისტოს, ამხანაგურ მატჩში, ქალაქ სამტრედიაში, ტორპედოელებმა დიდი ანგარიშით (7:1) დაამარცხეს ადგილობრივი „ლოკომოტივი“.

იმ დროს „ტორპედოს“ სათავეში ჩაუდგა ფეხბურთის სპეციალისტი ს. ერქომაიშვილი, რომელმაც შემდგომში დიდი ამაგი დასდო ავტოქარხნელი ფეხბურთელების წინსვლის საქმეს. 1949 წლის დასაწყისში ტორპედოელები თბილისში მიიწვიეს საფეხბურთო სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ ტურნირში, სადაც მათ წარმატებით იასპარეზეს და თამაშის მაღალი კლასი აჩვენეს. საქართველოს სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით, გუნდი დაუშვეს რესპუბლიკის ჩემპიონატზე პირველ ჯგუფში.

ჩემპიონატი 22 მაისს დაიწყო. პირველი ჯგუფის 20 გუნდი ორ ზონაში გამოდიოდა. უფრო ძლიერებმა მოიყარეს თავი პირველ ზონაში, სადაც „ტორპედოსთან“ ერთად საპრიზო ადგილებისათვის იბრძოდნენ სოხუმის „დინამო“, თბილისის „ლოკომოტივი“, მახარაძის ნაკრები და სხვა გუნდები.

პირველ მატჩში ავტოქარხნელმა ფეხბურთელებმა საკუთარ მოედანზე ანგარიშით 3:1 დაამარცხეს ახალქალაქის ნაკრები. მეორე შეხვედრაში მათ მძიმე გამოცდა ელოდათ — სოხუმში ხვდებოდნენ ადგილობრივ „დინამოს“ გუნდს იმ დროს, სოხუმის „დინამო“ რესპუბლიკაში საკმაოდ ძლიერ გუნდ წარმოადგენდა. მის სპორტულ ღირსებას იცავდნენ: თბილისის „დინამოს“ ყოფილი მეკარე გაბუნია, ცნობილი მცველი ესაკია, ხოლო ნორაკიძეს და გრამატიკოპულოს არაერთხელ დაუცავთ თბილისის ოფიცერთა სახლის და აგრეთვე კიევის და თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების სპორტული ღირსება.

ქუთაისელმა ფეხბურთელებმა მატჩი ბრწყინვალედ ჩაატარეს და ძლიერ მეტოქეს სძლიეს 1:0. ამის შემდეგ, მათ მარცხის სიმწარე აგემეს თბილისის „ლოკომოტივს“ და საავიაციო ქარხნის ფეხბურთელთა გუნდებს, სამტრედიის „დინამოსა“ და ზესტაფონელ ფეხბურთ-

1946 წელი. ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდი (მარცხნიდან): ხ. მანაგაძე, მ. ლოსაბერიძე, ე. კოხრეიძე, ბ. კილაძე, ს. ნიქაბაძე, გ. კოვზიანიძე, ნ. ახვლედიანი, ნ. ხარაბაძე, მ. გერაძე, ვ. შლიახოვი, ნ. კაპტივაძე.

იხ. მე-4 გვ.

ალმზრდელის კვალი

ვინც მართალი გზა გაიარა, უკან მიხედვის არ ეშინია

საქართველოში კარგ მწვრთნელებს რა გამოლევს. სწორედ მათი დამსახურებაა ის, რომ ჩვენმა ფეხბურთმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი თვითმყოფადობით. ჩვენს ქალაქში ბავშვთა რამდენიმე საფეხბურთო სკოლაა, რომლებიც სხვადასხვა ასაკის მოზარდთა ასობით ჯგუფებს აერთიანებენ. იშვიათად, რომ სათამაშო ველწერით ისინი ერთმანეთს ჰგავდნენ, ამაში კი პირველი „დამნაშავენი" ბავშვთა ფეხბურთში მომუშავე ალმზრდელები არიან — ისინი ნიჭსა და ენერგიას რომ არ იშურებენ მომავალი თაობის დასაკვალიანებლად. მათი გარჯა კი დღეს ერთიორად ფასეულია, რადგან არასდროს ისე არ დასჭირვებია ჩვენს ფეხბურთს საიმედო რეზერვით „ზურგის გამაგრება", როგორც დღეს.

სამწუხაროდ, ბევრ მწვრთნელს ისე დაუსრულებია კარიერა, მის შესახებ ცოტას თუ სმენია რამე. თბილისში დაიბადა, ლამაზ და ძველ უბანში — მთაწმინდაზე. როგორც მისი ბევრი თანატოლი, ჯემალ გაბისონიაც თავდავიწყებით დასდევდა ბურთს. ყმაწვილობაში ქალაქის უძველესი საფეხბურთო სკოლის „ნორჩი დინამოელის" ღირსებას იცავდა. რამდენიმე წელი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებშიც ერთ-ერთ უძლიერეს მცველად მიიჩნევდნენ. იმ პერიოდში კი, მოგეხსენებათ, ჭაბუკთა გუნდში მოხვედრა და ადგილის დამკვიდრება იოლი საქმე არ გახლდათ. შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩაირიცხა და, რაღა თქმა უნდა, თამაშიც აქ გააგრძელა. მაშინ, როცა რესპუბლიკის პირველ გუნდში — თბილისის „დინამოში" მიიწვიეს, ერთ-ერთი ვარჯიშის დროს სერიოზულად დაშავდა და, ექიმთა რჩევით, სამუდამოდ ჩამოშორდა დიდ ფეხბურთს, ურომლისოდაც ცხოვრება ვერც კი წარმოედგინა. აკი არც მიუტოვებია თავისი საყვარელი საქმე: „ნორჩ დინამოელში" თავის ძველ ალმზრდელებთან ერთად ბავშვების წვრთნას მოჰკიდა ხელი.

60-იანი წლების მიწურულს თბილისში მოზარდ ფეხბურთელებთან მუშაობდა არაერთი უნარიანი მწვრთნელი, რომელთა სახელი ფეხბურთის სამყაროში კარგად იყო ცნობილი. აი, ასეთ „გრანდებთან ჭიდილში" დაამტკიცა ჯემალ გაბისონიამ, რომ სხვაზე ნაკლებად არც ახალგაზრდა თაობას შეეძლო ნიჭიერთა დაკვალიანება. სწორედ მას უნდა უმადლოდეს ბევრი ახალგაზრდა, რომლებმაც მისი მიბაძვით მოჰკიდეს ხელი მწვრთნელის როულსა და პასუხსაგებ საქმიანობას.

ქართველ გულშემატკივრებს, მათ, ვინც ბავშვთა ფეხბურთშიც ერკვევა, ალბათ, ეხსომებათ 1969 წელი. ფეხბურთის მოყვარულები მაშინ იშვიათი მოვლენის მოწმენი გახდნენ: საქართველოს ნაკრები, რომელიც „სიჭაბუკის თასზე" გამოდიოდა, თითქმის მთლიანად ჯემალ გაბისონიას ალსაზრდელებით იყო დაკომპლექტებული. სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს, რომლებსაც დიდი ფეხბურთის თამაში ოცნებად გადაქცეოდათ, ბატონი ჯემალი თავის მყუდრო ბინაში მიუჩენდა ხოლმე ადგილს და მამობრივი მზრუნველობით ეკიდებოდა პროვინციიდან ჩამოყვანილ ყმაწვილებს. ქალაქში ხშირად იტყოდნენ ხოლმე — ჯემალს სახლში „მუდმივი შეკრება" აქვს დანიშნული.

ჯემალ გაბისონია

ბატონ ჯემალს ყველა თავისი ალსაზრდელის დაბადების დღე ახსოვდა. ვერ ვიგონებ ისეთ შემთხვევას, ამ თარიღთან დაკავშირებით რაიმე საჩუქარი არ გადაეცა ნორჩი ფეხბურთელისთვის. სიხარული სიხარულად, მაგრამ ბიჭები გაოცებას ვერ მალავდნენ — საიდან ახსოვს ჯემალ მასწავლებელს ყოველი ჩვენგანის დაბადების დღეო. აკი დაუფასდა კიდეც ამაგი: მრავალი მისი ალზრდილი ნებისმიერ ნაკრებში თუ საქართველოს უძლიერეს გუნდებში მუდამ მაგალითის მიმცემი იყო.

სპუბლიკის ძლიერ ნაკრებებთან ჭიდილში ამ გუნდმა პირველი ადგილი და თასი მოიპოვა. ასეთივე წარმატებას ბატონ ჯემალის ალსაზრდელებმა ზუსტად ორი წლის შემდეგაც მიაღწიეს. ლოგიკურიც იყო, რომ მალე სრულიად ახალგაზრდა მწვრთნელს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. ესეც იშვიათი მოვლენა იყო იმ დროის რესპუბლიკის საფეხბურთო ცხოვრებაში.

ყველა ის წარმატება, რომელსაც ბატონმა ჯემალმა თავის ალსაზრდელებთან ერთად მიაღწია, თავდაუზოგავი შრომისა და გარჯის ნაყოფია. დილის ცხრა საათიდან საღამოს შვიდამდე, დარსა თუ ავდარში, მინდორზე ყოფნას მხოლოდ ფეხბურთზე ფანატიკურად შეყვარებული კაცი თუ შეძლებს. მის სასელექციო ნიჭზეც არაერთხელ თქმულა და დაწერილა. როდესაც „ნორჩი დინამოელი" რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში ასპარეზობდა, მის „მცნობ" თვალს არ გამოეპარებოდა არც ერთი ნიჭიერი ყმაწვილი. რაიონიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს, რომლებსაც დიდი ფეხბურთის თამაში ოცნებად გადაქცეოდათ, ბატონი ჯემალი თავის მყუდრო ბინაში მიუჩენდა ხოლმე ადგილს და მამობრივი მზრუნველობით ეკიდებოდა პროვინციიდან ჩამოყვანილ ყმაწვილებს. ქალაქში ხშირად იტყოდნენ ხოლმე — ჯემალს სახლში „მუდმივი შეკრება" აქვს დანიშნულიო.

ბატონ ჯემალს ყველა თავისი ალსაზრდელის დაბადების დღე ახსოვდა. ვერ ვიგონებ ისეთ შემთხვევას, ამ თარიღთან დაკავშირებით რაიმე საჩუქარი არ გადაეცა ნორჩი ფეხბურთელისთვის. სიხარული სიხარულად, მაგრამ ბიჭები გაოცებას ვერ მალავდნენ — საიდან ახსოვს ჯემალ მასწავლებელს ყოველი ჩვენგანის დაბადების დღეო. აკი დაუფასდა კიდეც ამაგი: მრავალი მისი ალზრდილი ნებისმიერ ნაკრებში თუ საქართველოს უძლიერეს გუნდებში მუდამ მაგალითის მიმცემი იყო.

ჯემალ გაბისონიამ „ნორჩ დინამოელში" სულ შვიდი წელი დაჰყო. დროის ამ მცირე მონაკვეთში მან საქართველოს ფეხბურთს ათი სპორტის ოსტატი აღუზარდა.

მისი მოწაფეების მიერ ასეთ ხანმოკლე პერიოდში მიღწეული „თითით საჩვენებელი" წარმატებების მიუხედავად, მაშინდელი ფეხბურთის მესვეურები არასოდეს დაფიქრებულან, საქართველოს ნაკრებში, სადაც მისი შეგირდები ყოველთვის უმეტესობას წარმოადგენდნენ, მეორე მწვრთნელად ან მწვრთნელ-კონსულტანტად მაინც მიეწვიათ. ძლიერი ნებისყოფისა და კეთილშობილი ბუნებისა უნდა იყო, მსგავს უსამართლობას ვაჟკაცურად რომ დახვდე. ფარ-ხმალი კი მას მართლაც არასდროს დაუყრია, ყოველ წელს სულ უფრო თვალსაჩინო წარმატებებს აღწევდნენ მისი შეგირდები.

ახალს არაფერს ვიტყვი, უბრალოდ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ — სპორტული ცხოვრება კაცობის, ადამიანობის, მეგობრობის ერთმანეთის გატანის საუკეთეს სკოლაა და, ვინც შეძლებს მისი კანონებით იცხოვროს, ის ძნელად შემდეგ სადმე და რაიმეში „ჩაიჭრას". ჯემალ გაბისონიას ბოლო წლების ცხოვრებაც ამის ნათელი დადასტურებაა. უკვე ვთქვით, სპორტში ამ კაცისთვის მადლის ქმნისა და სიკეთის ნიჭი იყო უმთავრესი და ეს უნარი არც მერე, სპორტულ მოღვაწეობასთან განშორების შემდეგ დაჩლუნგებია.

ადრე ალმაცერად ვუყურებდით ორგანოს მუშაკებს და, ვაღიაროთ, სადღაც გულიც გვწყდებოდა, საყვარელ სპორტსმენს თუ სპორტსმენთა ალმზრდელს მათ რიგებში თუ ვიხილავდით. დიახ, უნდობლობა იდგა ჩვენს შორის. თუმცა გამონაკლისნიც იყვნენ. სწორედ ასეთ გამონაკლისს წარმოადგენდა ჯემალ გაბისონიაც, ადამიანი, რომელმაც შეძლო უძრაობის ავადსახსენებელ წლებშიც კაცად დარჩენილიყო და კაცური საქმე ეკეთებინა ყველგან, სადაც მას უმუშავია.

ახლა დროც შეიცვალა — ქართული მილიცია დადგა იქ, სადაც ერს დასჭირდა. დროის ფერიცვალებასთან ერთად შევიცვალეთ ჩვენც, შეიცვალა ჩვენი დამოკიდებულებაც „ფორმიანთა" მიმართ — დღეს ხომ ეროვნული მილიცია გვიცავს.

ვაკის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების საპასპორტო ქვეგანყოფილების უფროსმა ინსპექტორმა, მილიციის მაიორმა ჯემალ გაბისონიამ ისე გალია ორმოცდაათი წელი, უკან მიხედვის არასდროს შინებია. მართალი გზა გაიარა და იმიტომ. სხვისი არ ვიცი, მე კი მტკიცედ მჯერა — ასეთი კაცი, დროებამის ცვლის მიუხედავად, ისე ივლის, როგორც უვლია, რადგან მისი ცხოვრების ლიბო მტკიცე და ღონიერია — ამ ლიბოს უბრალო ენაზე სპორტული ცხოვრება ჰქვია.

ზაზა კახაძე

ეს-ესაა შევიტყვეთ...

გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები:

იტალია
ხუთი ფრე და 16 გატანილი გოლი

30-ე ტური სარეკორდოდ უინტერესო გამოდგა. ჯერ ერთი, ხუთი მატჩი დამთავრდა ფრედ ისე, რომ სულ რაღაც ოთხი გოლი გავიდა, არც სხვა შეხვედრებში გამოუჩენიათ მაინც და მაინც თავი ბომბარდირებს. ცხრა მატჩში თექვსმეტი გოლი — დარწმუნებული ვართ, მიმდინარე ჩემპიონატში ყველაზე „ღარიბი" სწორედ 30-ე ტური იყო.

„სამპდორია" — „ბარი" 3:2
„ფიორენტინა" — „ინტერი" 0:0
„მილანი" — „რომა" 1:1
„ატალანტა" — „პარმა" 0:0
„კალიარი" — „იუვენტუსი" 0:0
„ჩეზენა" — „ჯენოვა" 1:1
„ლაციო" — „ნაპოლი" 0:2
„ლეჩე" — „ბოლონია" 1:3
„ტორინო" — „პიზა" 1:0

გათამაშების ცხრილი

	მ.	ფ.	წ.	ქ.
„სამპდორია"	18	9	3	45
„ინტერი"	16	10	4	42
„მილანი"	16	9	5	41
„იუვენტუსი"	12	10	8	34
„ჯენოვა"	12	10	8	34
„პარმა"	12	10	8	34
„ტორინო"	12	10	8	34
„ატალანტა"	10	11	9	31
„ნაპოლი"	9	13	8	31
„ლაციო"	6	18	6	30
„რომა"	9	12	9	30
„ფიორენტინა"	7	13	10	27
„ბარი"	8	9	13	25
„კალიარი"	5	14	11	24
„ლეჩე"	5	12	13	22
„პიზა"	7	6	17	20
„ჩეზენა"	5	9	16	19
„ბოლონია"	4	9	17	17

ესპანეთი
„ბარსელონა" — პლუს 7 ქულა

დიახ, ისეთი პირი უჩანს, რომ „ბარსელონას" ესპანეთის ჩემპიონის ტიტულს ვერავინ შეეცილება. გათამაშების ლიდერი უახლოეს მეტოქეს, მადრიდის „ატლეტიკოს" მთელი 7 ქულით უსწრებს. „ბარსელონას" სხვა შედეგებიც საჩვენებელი აქვს: გაიტანა ყველაზე მეტი გოლი — 68, საკუთარ კარში კი მხოლოდ 23 მიიღო (ამ მაჩვენებლით მას მხოლოდ მადრიდის „ატლეტიკო" სჯობნის, რომელსაც 15 გოლი აქვს გაშვებული).

31-ე ტურში ლიდერმა შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა „სევილია" — 3:0. სხვა მატჩები დამთავრდა ასე:

„ატლეტიკი" (ბილბაო) — „სანსებასტიანი" 2:1
„ბეტისი" — „რეალი" (მადრიდი) 1:3
„ატლეტიკო" (მადრიდი) — „მალიორკა" 0:1
„სპორტინგი" (ხიხონი) — „სარაგოსა" 1:0
„ოსასუნა" — „კადისი" 1:1
„ვალიადოლიდი" — „ოვიედო" 1:0
„ვალენსია" — „ესპანიოლი" 2:0
„ბურგოსი" — „კასტელონი" 4:0
„ტენერიფე" — „ლოგრონიესი" 2:0

გათამაშების ცხრილი

„ბარსელონა"	23	5	3	51
„ატლეტ." (მადრიდი)	16	12	3	44
„ოსასუნა"	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
„სპორტინგი"	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
„ოვიედო"	10	13	8	33
„რეალი" (მადრიდი)	14	[illegible]	13	33
„სევილია"	13	6	[illegible]	[illegible]
„ლოგრონიესი"	12	8	11	32
„ვალენსია"	12	8	11	32
„ტენერიფე"	13	5	13	31
„ვალიადოლიდი"	9	12	10	30
„ატლეტ." (ბილბაო)	13	4	14	30
„სან-სებასტიანი"	9	11	11	29
„ბურგოსი"	8	13	10	29
„ესპანიოლი"	10	8	13	28
„მალიორკა"	8	10	13	26
„სარაგოსა"	8	9	14	25
„კასტელონი"	7	10	14	24
„ბეტისი"	6	8	17	20
„კადისი"	4	12	15	20

შაბათს და კვირას გაიმართა ნბა-ს კალათბურთელთა ჩემპიონატის მორიგი მატჩები:

„იუტა" — „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" 107:93
„ნიუ-ჯერსი" — „მაიამი" 118:103
„ნიუ-იორკი" — „შარლოტა" 108:102
„მილუოკი" — „ინდიანა" 133:100
„ატლანტა" — „ბოსტონი" 117:105
„მინესოტა" — „ვაშინგტონი" 89:87
„კლივლენდი" — „ფილადელფია" 123:110
„ჩიკაგო" — „დეტროიტი" 108:100
„სან-ანტონიო" — „დალასი" 125:101
„ფენიქსი" — „პორტლენდი" 135:118
„გოლდენ სტეიტი" — „იუტა" 125:106
„საკრამენტო" — „ლოს-ანჯელეს კლიპერსი" 105:101.
„ორლანდო" — „ნიუ-ჯერსი" 120:110
„ჰიუსტონი" — „დენვერი" 131:125
„ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" — „სიეტლი" 103:100

გათამაშების ცხრილები

აღმოსავლეთის კონფერენცია

	მ.	ფ.	%
„ბოსტონი"	56	26	688
„ფილადელფია"	44	38	537
„ნიუ-იორკი"	39	43	476
„ვაშინგტონი"	30	52	366
„ნიუ-ჯერსი"	26	56	317
„მაიამი"	24	58	293

ცენტრალური დივიზიონი

„ჩიკაგო"	61	21	744
„დეტროიტი"	50	32	610
„მილუოკი"	48	34	585
„ატლანტა"	43	39	524
„ინდიანა"	41	41	500
„კლივლენდი"	33	49	402
„შარლოტა"	26	56	317

დასავლეთის კონფერენცია

შუა-დასავლეთის დივიზიონი

„სან-ანტონიო"	55	27	671
„იუტა"	54	28	659
„ჰიუსტონი"	52	30	634
„ორლანდო"	31	51	378
„მინესოტა"	29	53	354
„დალასი"	28	54	342
„დენვერი"	20	62	244

წუნარი ოკეანის დივიზიონი

„პორტლენდი"	63	19	768
„ლ.-ა. ლეიკერსი"	58	24	707
„ფენიქსი"	55	27	671
„გოლდენ სტეიტი"	44	38	537
„სიეტლი"	41	41	500
„ლ.-ა. კლიპერსი"	31	51	378
„საკრამენტო"	25	57	305

თქვენთვის, გულშემატკივრებო!

„ფეხბურთელები, მწვრთნელები, მსაჯები"

ასე ეწოდება ახალ საფეხბურთო ცნობარს, რომელიც საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლომ" გამოსცა 20-ათასიანი ტირაჟით. მისი ავტორია რევაზ შენგელია. წიგნი ენციკლოპედიური ხასიათისაა, მასში შეტანილია მოკლე სპორტულ-ბიოგრაფიული მონაცემები ცნობილ ოსტატებზე, მწვრთნელებსა და მსაჯებზე, მათ შორის, ცხადია, ქართული ფეხბურთის წარმომადგენლებზე. ასეთი სახის ცნობარი, რომელშიც თავმოყრილია 600-მდე გვარი, პირველად გამოიცა ქართულ ენაზე.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

20-21 აპრილს გაიმართა ფეხბურთში საკავშირო ჩემპიონატის VII ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის: „სპარტაკი" (მოსკოვი) — „არარატი" (ერევანი) 3:2, „ტორპედო" (მოსკოვი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 0:0, „შახტიორი" (დონეცკი) — „ცსკა 1:1, „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „სპარტაკი", (ვლადიკავკაზი) 1:3, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „დინამო" (მოსკოვი) 1:0, „დინამო" (მინსკი) — „პამირი" (დუშანბე) 2:2. „მეტალისტი" (ხარკოვი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 3:1.

* * *

I ლიგის გათამაშების IV ტურში სოხუმის დინამოელებმა 19 აპრილს შინ ფრედ ითამაშეს კიშინიოვის „ზიმბრულთან" — 0:0.

„ლივერპულს" დისკვალიფიკაცია მოეხსნა

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა 6 წლის იზოლაციის შემდეგ „უადაღა მოუხსნა" ინგლისის საფეხბურთო კლუბ „ლივერპულს" და ნება დართო ევროპის ევროპის საკლუბო ტურნირებში.

„ლივერპული" დისკვალიფიცირებული იყო 1985 წელს იმის გამო, რომ მისი გულშემატკივრების მიზეზით ბრიუსელის სტადიონზე დაიღუპა 39 კაცი.

ინგლისელები იმედოვნებენ

ინგლისის პრეფესიონალ ფეხბურთელთა კავშირმა თხოვნით მიმართა ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციას, წამოაყენოს ინგლისის კანდიდატურა მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ორგანიზატორთა შორის. ჯერჯერობით ამ ასპარეზობის მასპინძლობის ხურვილი გამოთქვეს საფრანგეთმა, მაროკომ და შვეიცარიამ.

აი, რისი იმედი აქვთ ინგლისელებს: მათ განკარგულებაშია ახლახან რეკონსტრუირებული თანამედროვე სტადიონი „უემბლი", 80 ათასზე მეტი დასაჯდომი ადგილით. გარდა ამისა, აქ კიდევ 20 ათასზე მეტი მაყურებელი დეტევა. 1995 წლამდე შეიძლება გადაკეთდეს სტადიონების საკმაო რაოდენობა — არანაკლებ რვისა. რა თქმა უნდა, ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ ფიფა-ს უნდა აღუთქვას წესრიგის ყოველნაირად დაცვა, გულშემატკივრების სრული კორექტულობა.

ყოველივე ამის შემდეგ, ვარაუდობენ ფეხბურთელთა კავშირის ხელმძღვანელები, ფიფა-ს ექნება საფუძველი ინგლისს უპირატესობა მიანიჭოს სხვა კანდიდატებთან შედარებით, რომლებიც ვეო აკმაყოფილებენ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ წაყენებულ სავალდებულო მოთხოვნებს. გავიხსენოთ, რომ ინგლისი ერთხელ, 1966 წელს, უკვე იყო მსოფლიო პირველობის მასპინძელი, და მაშინ მისმა გუნდმა ოქროს მედლები მოიპოვა.

სენსაცია: თასი „შეფილდს"

სენსაციური შედეგით დამთავრდა ინგლისის საფეხბურთო თასის ფინალური მატჩი, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ მეორე დივიზიონის წარმომადგენელი „შეფილდი" და უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალის მონაწილე „მანჩესტერ იუნაიტედი".

ფინალურ მატჩში ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა და ინგლისის თასი მოიპოვა „შეფილდმა".

ავტომშენებელთა საჭვარელი გუნდი

(დასასრული)

ელებს, მახარაძის, თელავისა და სხვა ქალაქების გუნდებს. ერთი სიტყვით, ავტოქარხნელმა ფეხბურთელებმა 9 შეხვედრიდან მოიგეს რვა და ერთი ფოთის „დინამოსთან“ ფრედ დაამთავრეს. გუნდმა ბურთების შეფარდებით (21:6) თავის ზონაში პირველი ადგილი დაიკავა და გადამწყვეტ შეხვედრაში რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისათვის წარსდგა მეორე ზონის ლიდერის — ხაშურის ნაკრების წინააღმდეგ.

7 აგვისტოს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ბევრი გულშემატკივარი ეწვია ქუთაისიდან თბილისს და ამხნევებდა საყვარელ გუნდს. საინტერესო მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:1 ქუთაისის „ტორპედოს“ სასარგებლოდ. გუნდმა საქართველოს 1949 წლის ჩემპიონის სამეტიო წოდება მოიპოვა.

იმავე წელს კიდევ ერთ წარმატებას მიაღწიეს ტორპედოელებმა. რესპუბლიკურ გათამაშებაში, მათ თანმიმდევრულად დაამარცხეს გორის „დინამო“ 2:0, თბილისის გუნდი 4:3, ბათუმის „დინამო“ — 4:2, ხოლო ფინალში ასეთივე ანგარიშით სძლიეს თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს გუნდს და სამეტიო ჯილდოს ქუთაისში დაუდეს ბინა.

ამ სასახელო გამარჯვებების მთავარი გმირები იყვნენ შ. ქველიძე, მ. ლოსაბერიძე, გ. მანჯგალაძე, ჯ. რუსაძე, გ. დევდარიანი, ბ. ბობოხიძე, ვ. ერქომაიშვილი, მ. გიგინეიშვილი, ე. კოხრეიძე, ნ. ხარაბაძე, გ. გვილავა, გ. თათეიშვილი, ჰ. მეფისაშვილი, ა. ბეროზაშვილი, გ. ჯიმშელეიშვილი, გ. თედიაშვილი, გუნდის მწვრთნელი ს. ერქომაიშვილი.

საყურადღებოა, რომ ქარხნის დირექცია ყოველნაირად უწყობდა ხელს „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდს. ვეტერანი ფეხბურთელი მ. ლოსაბერიძე იგონებს: „იმ დროს ქარხანას ბრწყინვალე ტერიტორიაზე ჰქონდა კეთილმოწყობილი მეურნეობა, იქვე იყო გუნდის საწვრთნელი ბაზაც, სადაც ვიყავით შეკრებაზე, ვვარჯიშობდით და „ვხვეწდით ოსტატობას“.

რაც მთავარია, 50-იანი წლების „ტორპედოში“ ძირითადად მუშა-სპორტსმენები იყვნენ და ამდენად გუნდი სისხლხორცეულად უკავშირდებოდა საავტომობილო ქარხანას, რომლის სიყვარულსა და მხარდაჭერას ავტოქარხნელი ფეხბურთელები ყოველ მატჩში გრძნობდნენ.

1949 წლის 13 აგვისტოს გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში“ ვკითხულობთ: „ფეხბურთელთა გუნდის „ტორპედოს“ მთელი შემადგენლობა საავტომობილო ქარხნის მოწინავე ახალგაზრდებისაგან შედგება. ოსტატი გ. მანჯგალაძე საამქროში გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს, ამასთან ერთად იგი არის გუნდის ღირსეული კაპიტანი. საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა ცენტრალურმა დამცველმა ჯ. რუსაძემ. ეს ახალგაზრდა ფეხბურთელი სწავლასთან და მუშაობასთან ერთად წარმატებით ეუფლება სპორტს, მთელი მონდომებით თამაშობენ: დევდარიანი, ერქომაიშვილი და ბობოხიძე. მათ შეძლეს დაცვისა და ნახევარდამცველთა ამოცანების წარმატებით შესრულება. ძლიერია გუნდის თავდასხმა, ახალგაზრდა მოთამაშეები: გვილავა, ბეროზაშვილი, მეფისაშვილი, თედიაშვილი, ჯიმშელეიშვილი და სხვები საშიშ მეტოქეებს წარმოადგენენ მოწინააღმდეგე გუნდისათვის. მეკარე ქველიძე გამოირჩევა ენერგიული თამაშით. საავტომობილო ქარხნის ხელმძღვანელობამ ყველა პირობა შეუქმნა გუნდს წარმატების მოსაპოვებლად“.

50-იანი წლებიდან საფეხბურთო სეზონისთვის მზადებასთან დაკავშირებით, ქუთაისში სტუმრად ჩამოდიან ქვეყნის უძლიერესი საკლუბო გუნდები, მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალების გუნდი (ვვს), სამხედრო საზღვაო ძალთა გუნდი (ვმს), მოსკოვის „ტორპედო“, ლენინგრადის გუნდები: „დინამო“, „ზენიტი“ და სხვები. ქალაქის უძლიერესი გუნდები „დინამო“ და „ტორპედო“ მათთან ჭიდილში ცდიდნენ ძალებს. „დინამოსა“ და „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდებმა საწვრთნელ მატჩებში არაერთხელ დაამარცხეს „ა“ კლასის ბინადარნი.

1950 წლის 16 აპრილს ქალაქში გამოკრული აფიშები ფეხბურთის მოყვარულებს 18 აპრილს „დინამოს“ სტადიონზე იწვევდნენ, სადაც საინტერესო მატჩში ქალაქის ორი უძლიერესი გუნდი — „დინამო“ და „ტორპედო“ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის „დინამომ“ 1949 წლის საფეხბურთო სეზონში წარმატებით ითამაშა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შეჯიბრებაზე „ბ“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის, სადაც მეორე ადგილი დაიკავა. ამ მატჩთან დაკავშირებით გაზეთი „ინდუსტრიული ქუთაისი“ წერდა: „თამაში პირველი წუთებიდანვე სწრაფი ტემპით დაიწყო და იგი პირველი ტაიმის ბოლომდე დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა, ტორპედოელებმა ამ მატჩში გვიჩვენეს გამძლეობა კომბინაციურ თამაშში და რაც მთავარია, მოგების დაუცხრომელი სურვილი. შეხვედრა დამთავრდა „ტორპედოს“ დამსახურებული გამარჯვებით 3:1“.

1950 წელს ქუთაისის უძლიერესი გუნდები რესპუბლიკის ჩემპიონატზე გამოდიოდნენ, 30 მაისს „დინამო“ და „ტორპედო“ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს რესპუბლიკურ ჩემპიონატში. მატჩი საინტერესოდ წარიმართა. მაშინდელი პრესა აღნიშნავდა ტორპედოელთა მეკარის მ. ლოსაბერიძის კარგ თამაშს, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი, ხოლო 25-ე წუთზე დინამოელ კ. ხინთიბიძის 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა აიღო.

მომდევნო შეხვედრებში ტორპედოელებმა დაამარცხეს ფოთის „დინამო“ (2:0), თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონის ფეხბურთელები (5:2) გამანადგურებელი ანგარიშით (6:0) მოუგეს ბათუმის დინამოელებს, მაგრამ რამდენიმე პრინციპული მატჩი წაგეს თბილისის „ტტს“-ის გუნდთან, სოხუმის . დინამოსთან, თანაქალაქელ ფეხბურთელებთან და საპრიზო ადგილის მიღმა დარჩნენ.

1952 წელს თბილისისა და ქუთაისის ოლქების შექმნასთან დაკავშირებით „ტორპედო“ საოლქო პირველობაზე გამოდის. მაშინ „ტორპედოს“ სპორტულ ღირსებას იცავდნენ მ. ლოსაბერიძე, გ. კაშია, გ. მანჯგალაძე, გ. გიგინეიშვილი, გ. წივწივაძე, ს. ტორაძე, ვ. მაღლაკელიძე, ვ. ჟურავლოვი, გ. არზახანოვი, მ. ცომაია, შ. არაბული, ა. გვეტაძე და სხვები. 1953 წელს ტორპედოელები ქუთაისის „დინამოსთან“ და წერეთლის ქუჩაზე მდებარე კლუბის ფეხბურთელებთან ერთად ქალაქის სახელით ასპარეზობდნენ საოლქო პირველობაზე, სადაც ხსენებულ გუნდებთან ერთად თამაშობდნენ: ცხაკაიას, მახარაძის, სამტრედიის, ჭიათურისა და სხვა ქალაქების ფეხბურთელთა გუნდები. მაგრამ ქუთაისის საოლქო პირველობის გათამაშება არ დამთავრებულა. მთავრობის გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის და ქუთაისის ოლქები, ძალაში რესპუბლიკის ძველი დარაიონება დარჩა.

1957 წელს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის გადაწყვეტილებით ერთიორად გაიზარდა სსრ კავშირის ფეხბურთის გეოგრაფია. ეს ზრდა განსაკუთრებით დაეტყო „ბ“ კლასს, სადაც მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებისა და მძლავრი სამრეწველო ცენტრების — ტაშკენტის, ალმა-ათის, ბაქოს, ერევნის, გორკისა და სხვა ქალაქების ფეხბურთელთა გუნდების გვერდით უნდა ეთამაშათ ქუთაისელ ფეხბურთელებსაც. ამ მიზნით ქალაქში შეიქმნა ახალი საფეხბურთო გუნდი „ლოკომოტივი“. 1959 წელს იგი გადაეცა საავტომობილო ქარხანას და თითქმის სამი ათეული წელია „ტორპედოს“ სახელწოდებით გამოდიოდა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ და საერთაშორისო სარბიელზე. გუნდის პირველმა მწვრთნელმა ა. ჟორდანიამ მოიწვია ქუთაისელი ფეხბურთელები ვ. კვახაძე, გ. ჯავახაძე, დ. ჯეჯელავა, გ. პატარაია და სხვები. საყურადღებოა, რომ მათთან ერთად ქუთაისის „ლოკომოტივის“ სპორტულ ღირსებას წარმატებით იცავდნენ „ტორპედოში“ აღზრდილი პერსპექტიული ფეხბურთელები ბ. ბობოხიძე, ნ. სარჯველაძე, გ. ნიშნიანიძე, თ. ჭოლოკავა და სხვები.

იმ დროს „ტორპედოდან“ ქუთაისის „იმერეთსა“ და „დინამოში“ გადავიდნენ ტ. კვერნაძე, ა. აფრიდონიძე, ა. საფაროვი, ბაღაშვილი... ბუნებრივია, გუნდიდან ერთბაშად ამდენი ფეხბურთელის წასვლამ ძლიერ დასუსტა „ტორპედო“. როგორც გუნდის მაშინდელმა მწვრთნელმა ს. ერქომაიშვილმა გვიამბო: „ჩვენი სურვილით გადავედით რესპუბლიკის ჩემპიონატზე მოასპარეზე მეორე ჯგუფში. რა თქმა უნდა, ძალადაცლილ საფეხბურთო კოლექტივს სულისმოთქმა და მომაგრება სჭირდებოდა“,

60-იანი წლებიდან „ტორპედოს“ პირველი გუნდი საერთოდ გაქრა საფეხბურთო სარბიელიდან. სამწუხაროდ, იმ დროს იგივე ბედი ეწია ქუთაისის „დინამოს“, წერეთლის ქუჩაზე მდებარე ფეხბურთელთა კლუბის გუნდს და ცოტა უფრო გვიან ქუთაისის „იმერეთს“, რაც დიდი შეცდომა იყო, რადგან ეს გუნდები იმ უშრეტ წყაროს წარმოადგენდნენ, რომლებიც ქართულ ფეხბურთს კვებავდნენ ნიჭიერი ფეხბურთელებით.

ზურაბ ჯავახაძე

ქუთაისი.

ტურნირები და ჩემპიონატი

რომი. ევროპის ჩემპიონი თანამედროვე ხუთჯიდში გახდა უნგრელი ადამ მადარაში — 5560 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა პოლონელი მაჩე ჩიცოვიჩი — 5468 ქულა, მესამეზე — უნგრელი ლასლო ფაბიანი — 5462 ქულა. უნგრელთის ნაკრებმა (მადარაში, ფაბიანი, იანოშ მარტინეკი) გუნდური გამარჯვებაც მოიპოვა.

სტავანგერი. მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი პნევმატური შაშხანით სროლაში მოიპოვა უნგრელმა ევა ფორიანმა — 499,5 ქულა. სსრკ ნაკრებმა მოიგო გუნდური ასპარეზობა ახალი მსოფლიო რეკორდით — 1184 ქულა.

ლონდონი. მარათონელთა ტრადიციულ შეჯიბრებაში ქალთა შორის ტოლი არ ჰყავდა ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს პორტუგალიელ როსა მოტას — 2:26.14. მან 1 წუთითა და 21 წამით აჯობა ამერიკელ ფრენსი ლორიუ-სმითს.

მადრიდი. აქ გამართულ საერთაშორისო მარათონში გაიმარჯვა ტანზანიელმა ჯონ ბურემ — 2:12.19.

ნიუ-იორკი. „ვუდ მემორიალის“ დერბი მოიგო ცხენმა კახილ როადმა (მხედარი კრეიგ პერტი). ეს შეჯიბრება თავისებურ რეპეტიციას წარმოადგენდა ცნობილი კენტუკის დერბის წინ.

პარაღა. მშვიდობის 44-ე ველორბოლაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა მხოლოდ თხუთმეტმა ქვეყანამ. წლევანდელი ასპარეზობის ტრასა ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ტერიტორიებზე გაივლის.

ბონი. ტრადიციული საერთაშორისო მრავალდღიანი ველოსრბოლა ქვედა ხაქსონიის გზებზე მოიგო ჩეხოსლოვაკიელმა ლიუბორა ტეზარმა, რომელმაც 10 ეტაპად დაყოფილი 1500 კილომეტრი 40 საათსა, 3 წუთსა და 42 წამში დაფარა.

რედაქტორი

თენგიზ გაჩეჩილაძე

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1991 წლის მე-15 ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: დაშვებულია 1.902.086 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. ამ ჯგუფის მოსაგები ფონდი 17.265 მანეთის ოდენობით დაემატება მე-16 ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგებ ფონდს, რომელიც გაიზარდა 67.107 მანეთამდე. 5 ნომრის გამოცნობისთვის (40) მოგება 3.925 მანეთია, ოთხისთვის (3.063) — 131.

საქართველოში: დაშვებულია 40.993 ვარიანტი. 6—0, 5—1. 4—57.

„სპორტლოტო 5 36“-დან: დაშვებულია 28.672.799 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (76) მოგება 12.110 მანეთია, ოთხისთვის (12.097) — 132, სამისთვის (345.519) — 6.

საქართველოში: დაშვებულია 575.819 ვარიანტი. 5—1, 4—269, 3—7.164.

მე-15 და 6-15 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 4 მაისიდან 4 ივნისის ჩათვლით.

• • •

მე-16 ტირაჟების შედეგები

„სპორტლოტო 6 45“-დან: 4 (კრავი), 5 (თავისუფალი ჰიდაობა), 9 (საგზატეცილო ველოსრბოლა), 18 (მძლეოსნობა), 23 (თხილამურებით ხტომა და ორეიდი), 32 (ფიგურული ციგურაობა).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 1 (კალათბურთი), 6 (ძიუდო), 8 (ველოსპორტი, ტრეკი), 16 (ცხენოსნობა), 31 (ფარიკაობა).

• • •

„სპორტპროგნოზი“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1991 წლის მე-15 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 3.872.524 ვარიანტი. 13 შედეგი არავის გამოუცვნია. 12 შედეგის გამოცნობისთვის (33 მოგება) 4.517 მანეთია, 11 შედეგის გამოცნობისთვის (537) — 1.110.

საქართველოში: დაშვებულია 159.037 ვარიანტი. 13—0, 12—4, 11—48.

მე-15 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 4 მაისიდან 4 ივნისის ჩათვლით.

სტუდენტთა სპორტული კლუბების ეროვნულ ასოციაციასთან შექმნილი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ცენტრი „სიმხნევე“

გიწვევთ სამკურნალოდ. მკურნალობენ:

ავეროზს, უძილობას, თავის ტკივილებს, სხვადასხვა ანთებით დაავადებებს, ოსტეოქონდროზს, ხერხემლის გამრუდებას, ბავშვების უნებლიე შარდვას (ენურეზი), მამაკაცის სასქესო ორგანოების ანთებით პროცესებს, ღვიძლის დაავადებას, ვენების გაგანიერებას და მისგან წარმოშობილ წყლულებს, საჯდომი ნერვის ანთებას, სხვადასხვა სახის ქალურ დაავადებებს, საშარდე ბუშტს (პროსტატა), მწვავე და ქრონიკულ გასტრიტს, ნაღვლის სადინარების დისკინეზიას, ხოლეცისტიტს, მწვავე და ქრონიკულ ბრონქიტს და ბრონქულ ასთმას.

მკურნალობა ყოველდღე, გარდა კვირისა, დილის 10-დან 19 საათამდე.

მისამართი: თბილისი — წერეთლის გამზირი 95-ა, სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ მძლეოსნობის სასახლე.

ტელეფონი: 34-70-09; 35-16-96; 34-80-67.



ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი

(აკ. წერეთლის გამზ. № 2)

25 აპრილი • ფეხბურთი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

„იბერია“ (თბილისი) — „ოდიში“ (ზუგდიდი)

(უმაღლესი ჯგუფი)

დასაწყისი 18 საათზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 23 აპრილიდან 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14 საათიდან 15 საათამდე).

თბილისის „შევარდენის“ სტადიონი

(ბ. ხმელნიცკის ქ. № 40)

24 აპრილი • ფეხბურთი

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი (უმაღლესი ჯგუფი)

„შევარდენი-1936“ (თბილისი) — „სანავარდო“ (სამტრედია).

დასაწყისი 17 საათზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 10 საათიდან.

„ლელის“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ხარალიძე, კორექტორები: მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:

წერილებისთვის — 380096 თბილისი, მ. კოსტავას, 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელი“.

რედაქციის ტელეფონები:

წერილების განყოფილება — 93-97-55

სამდივნო — 93-97-52

ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.

„მერანი“ — 93-97-26, „მარჯვე“ — 93-97-27.

ინდექსი INDEX ИНДЕКС 66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საბჭოთა ლიტერატურა“ ტფილისი, 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო ქაღალდზე, ნიშარიულის, 29.

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20